სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 4 21 0000852399

02/09/2021

პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის #322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 აგვისტოს №444 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი 2021 წლის 6 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე პერიოდში წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში შემდეგ პროგრამებზე: „ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები“, „საოფისე საქმე“, „სატვირთვო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“, „ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „საბაჟო საქმე“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „მექატრონიკა“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“, „სამკერვალო წარმოება“, „სამრეწველო ავტომატიზაცია“.
2. სტუ-ს სხვა მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესი შეჩერდეს 2021 წლის 6 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ს უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტის უფროსს (ე. კვესიტაძე).

4. ბრძანება გამოქვეყნდეს სტუ-ს ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორატი
რექტორის მოადგილე
გასიტაშვილი ზურაბ